

გარეჯის კვლევის ცენტრი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი

გარეჯის ეპიგრაფიკული კვლევები

ტომი I
ნაკვეთი პირველი

ფგ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი

(XI-XVIII სს.)

გამოსაცემად მოამზადეს
დარეჯან კლდიაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ



თბილისი
1999

კორპუსში “გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები” წარმოდგენილია საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი სამონასტრო გაერთიანების, ქართული სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერის, დავით გარეჯის მრავალმთის VII-XIX საუკუნეების ქართული და უცხოენოვანი წარწერები. მრავალტომეულში თავმოყრილი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკაწრი წარწერებია, ე.წ. გრაფიტები; მათთან ერთად ქვეყნდება ისტორიული ხასიათის ფრესკული და ლაპიდარული წარწერები.

გარეჯის ნაკაწრი წარწერები შესრულებულია როგორც ადგილობრივი მოწესეების, ისე საქართველოსა და საქრისტიანოს სხვადასხვა კუთხიდან მისულ მომლოცველთა მიერ. მათ შორის თითქმის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელს ვხვდებით. მრავალმთის ეპიგრაფიკული ძეგლები მნიშვნელოვან და პირუთენელ პირველწეაროს წარმომადგენს როგორც გარეჯის სამონასტრო ცხოვრების, ისე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეთნიკური და კულტურის ისტორიის, პალეოგრაფიისა და ონომასტიკის საკითხთა შესასწავლად.

წინამდებარე ტომში შევიდა წმ. დავითის ღვაწლისა და უდაბნოს XI-XVIII საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკული მასალა. პუბლიკაციას ერთვის შესავალი, წარწერების არქეოგრაფიული აღწერილობა, გრაფიკული მონახაზები და ფოტოები.

The *Corpus of Inscriptions of Gareja*, comprises inscriptions of the seventh-nineteenth centuries in Georgian and other languages from the David Gareja desert, one of the largest monastic complexes of Georgia, and a unique centre of Georgian spiritual culture. A considerable part of the material collected in these volumes is formed by incised inscriptions - graffiti. In addition to these, painted and carved inscriptions of historical importance are also being published.

The graffiti inscriptions of Gareja were left both by local monks and by pilgrims from Georgia and other parts of the East Christian world. Among them are representatives of almost every social status. The inscriptions provide significant, primary sources for the study of monastic life in Gareja, as well as for the social, political, ethnic and cultural history, palaeography and onomastics of Georgia.

This volume - the first in a planned series of four - comprises Georgian inscriptions of the eleventh to eighteenth centuries from the Lavra of St. David and from Udabno monastery. The publication of the inscriptions is supplemented by traced copies and photographs.

რედაქტორი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპოდენტი ზაზა ალექსიძე

რეცენზენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი დევი პერძენიშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ ჭუმბურიძე

© გარეჯის კვლევის ცენტრი



Gareja Studies Centre 1999

ISBN 99928-72-02-0

ბარეჯის მრავალმთის ეპიგრაფიკული ძეგლები და მათი უმსჯავლოს ისტორია

ერთ-ერთი ასურელი მამის, წმ. დავითის მიერ საფუძველმდებარე გარეჯის სამონასტრო კომპლექსი VI საუკუნის პირველი ნახევრიდან მოკიდებული ვიდრე XX საუკუნის დამდეგამდე ქრისტიანული საქართველოს უდიდეს სასულიერო და კულტურულ კერას წარმოადგენდა. მტკვრის პარალელურად გადაჭიმულ გარეჯის მთებსა და იურის ხეობის ქვედა წელის ნახევრად უდაბნო მხარეში სამონასტრო განშტოებათა რიცხვი საუკუნეთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და თითქმის ორ ათეულს მიაღწია. მაგრამ კომპლექსის ძირითად ბირთვად მუდამ წმ. დავითისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებული მონასტრები, უპირველეს ყოვლისა კი ლავრა ანუ წმ. დავითის საფლავი რჩებოდა. ტრადიციით, წმ. დავითის დროიდან მოყოლებული, გარეჯის მრავალმთას მინიჭებული ჰქონია მესამედი წილი იერუსალიმის მადლისა, რის გამოც იგი მოელს ამიერკავკასიაში გამორჩეული საკრალურობით ნიშანდებულ ადგილად ითვლებოდა და, ამდენად, ასწლეულთა მანძილზე ისედაც მრავალრიცხოვან მომლოცვეებს როგორც საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან, ისე აღმოსავლეთის საქრისტიანოდან. სწორედ ამას უნდა განეპირობებინა ის გარემოება, რომ წმ. დავითისა და მისი მოწაფეების, წმ. დოდოსა და წმ. ლუკიანეს მიერ დაარსებულ მონასტრებში — ლავრაში, დოდოს რქაში, ნათლისმცემელში, მათთან ერთად კი ბერთუბანსა და უდაბნოში, ყრესკული და ლაპიდარული წარწერების გვერდით, უხვადაა შემონახული ადგილობრივი მოწესებებისა თუ საღვთისმეტყველების სხვადასხვა სახეობისა და ნახატები.



ლავრა
Lavra

მრავალმთის მონასტრებისა და მათი ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის დიდი მნიშვნელობის შესახებ ლეონ მედიქსეთ-ბეგი აღნიშნავდა: "(გარეჯა) არანეულებრივად მდიდარია წარწერებით კედლის ნაღვსობაზე, როგორც ქართულსა და სომხურს, ისე ბერძნულსა და

თითქმის ეკელა აღმოსავლურ ენაზე. და ამ წარწერების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მხრივ ამ რაიონს, შეიძლება თამამად ითქვას, ბადალი არ ჰქავს მოელს საქართველოში, ისევე როგორც ეკელის მხატვრობის სიმდიდრითა და მაღალხარისხოვნებით - სიძველეთა ერთადერთა არამც თუ საქართველოში, არამედ მოელს ამიერკავკასიაში."

გარეჯში ეპიგრაფიკა **ფრესკული, ლაპიდარული** და **ნაკაწრი** წარწერების ხასიათა წარმოდგენილი.

ისტორიული ხასიათის **ფრესკული** წარწერებიდან თავისი მნიშვნელობით გამოიყოფა **საკტიტორო** და **მხატვარ-ხელოსანთა** წარწერები. გარეჯის ეკელის მხატვრობის მნიშვნელობა მის მაღალ მხატვრულ დირსებებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ მრავალშთის სამეფო მონასტერთა უმეტესობაში შემოინახა კტიტორთა მრავალრიცხოვანი პორტრეტები თანმხლები განმარტებითი წარწერებითურთ.


მათ შორისაა ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ეკლესიის ყველაწარწერულ შემკულობაში წარმოდგენილ სამეფო გამოსახულებათა მოქალაქე: ბაგრატ IV (1027-1072), დავით IV აღმაშენებელი (1089-1125), დემეტრე I (1125-1156), გიორგი III (1156-1184), თამარი (1184-1210), დავით სოსლანი და ერმა გიორგი-ლაშა; ბერთუბნის მთავარ ტაძარში - თამარი და ჭაბუკი გიორგი-ლაშა (1210-1223); დემეტრე II თავდადებული (1271-1289) და ეპისკოპოსი თიანე უდაბნოს ხარების ეკლესიიდან; ივრისპირა გარეჯის შედარებით მომცრო მონასტრის, ქოლაგირის მთავარ ეკლესიაში შემორჩენილი კტიტორთა თერთმეტყიგურიანი კომპოზიცია ვრცელი განმარტებითი წარწერებით (მართალია, იქ წარმოდგენილი უმაღლეს სასულიერო და საერო პირთა გამოსახულებები და მათი თანმხლები წარწერები ძლიერაა დაზიანებული და ყრუგმენებულია მოღწეული, მაგრამ არსებული ნაშთებითაც ცხადი ხდება მათი, როგორც ისტორიული პირველწაროს მნიშვნელობა, არამარტო საკუთრივ გარეჯის, არამედ XII-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და სამოხელეო წყობის, სახელდობრ მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთუხუცესის სახელოთა შესახავად).



ნათლისმცემელი Natlismtseneli



ქოლაგირი Kolagiri

საბერეები
Sabereebi

ფრესკული ისტორიული წარწერების მეორე ნაწილი ძირითადად ფერმწერ-მხატვართა მიერაა შესრულებული; ისინი, როგორც წესი, მხატვრობის შესრულებას აღნიშნავენ ან ჩვეულებრივ მოსახსენებლებს წარმოადგენს. ამ სახის ფრესკული წარწერები საბერეებში (IX-X სს.), მრავალწაროსა (X ს.) და უდაბნოში (XIII ს.) შემორჩა.

ლაპიდარული წარწერების რაოდენობა გარეჯში მწირია; შეიძლება მხოლოდ ორიოდე მაგალითის მოხმობა: ესაა ნათლისმცემლის მონასტრის სტელის კვარცხლბეკის (VII-VIII სს.) და წმ. დავითის ლავრის კარიბჭის ონოფრე მაჭუტაძისეული აღმშენებლობის უამინდელი (1695 წ.) წარწერები. კარგახანია ცნობილია გიორგი ავალიშვილისეული XIX საუკუნის წარწერაც ნათლისმცემლის მონასტრიდან. ამავე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს დასაკრძალავთა ეპიტაფიები წმ. დავითის ლავრისა და ნათლისმცემლის მონასტრებიდან, რომლებიც ძირითადად XVIII-XIX საუკუნების ფარგლებში ექცევა.

მრავალმთის მონასტრებში განსაკუთრებული სიმრავლითა და მრავალგვარობით გამოირჩევა კედლის შელესილობაზე წვეტიანი მჭრელი იარაღითა და კალმით **ამოკაწრული წარწერები** ე. წ. **გრაფიტები**, ასევე მელნით ან (შედარებით იშვიათად) საღებავით შესრულებული მინაწერები, რომლებიც ასწლეულთა მანძილზე ადგილობრივ გარეჯელ მოწესებსა თუ იქ მისულ პილიგრიმებს ეკუთვნის. მრავალმთის მონასტრებში ფიქსირებულია ამ სახის უამრავი წარწერა — მათი რიცხვი დღეისათვის დაახლოებით ათასს აღწევს. ქრონოლოგიურად მრავალმთის ნაკაწრი წარწერები IX-XIX საუკუნეებს განეკუთვნება. წმ. დავითის და მისი მოწაფეების მიერ დაარსებულ მონასტრებში — ლავრაში, უდაბნოში, დოდოს რქაში, ნათლისმცემელში, ბერთუბანში საუკუნეთა განმავლობაში სამონასტრო ცხოვრება, მიუხედავად ძნელბედობით გამოწვეული დროებითი დამცრობა-გაპარტახებისა, ფაქტობრივად არ შეწყვეტილა. შესაბამისად, დროთა განმავლობაში დასახელებული გამოსქვამული კომპლექსების უმეტესობას საგრძნობლად უცვლია სახე. ხწორად ამის გამოა, რომ ნაკაწრი წარწერები მონასტრითა ამ რიგში ძირითადად XII-XIX საუკუნეებითაა წარმოდგენილი და შესრულებულია იქ მისული მრავალრიცხოვანი მლოცველების მიერ. მათგან განსხვავებით, მრავალმთის დასავლეთი მასივის (წამებული, მრავალწარო, თეთრი უდაბნო) და ივრისპირა გარეჯის მონასტრებს, ისევე როგორც შედარებით მცირე კომპლექსებს (საბერეები, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები, პირუკულმა, სატორგე) თითქმის ხელუხლებლად შემოუნახავთ VII-XI საუკუნეების არქიტექტურა, ზოგიერთ მათგანს

კი ფერწერა და საინტერესო ეპიგრაფიკა, რომელიც ფრესკული და ნაკაწრი წარწერების სახითაა წარმოდგენილი. როგორც მრავალმთის დასაყდრეთი მასივის, ისე იერისპირეთის პერიფერიულ მონასტრებში ფიქსირებული ეპიგრაფიკული მასალით ცხადი ხდება, რომ ეს კომპლექსები, წმ. დავითისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებული მონასტრებისაგან განსხვავებით, პილიგრიმთა მარშრუტში არ შედიოდა. მართლაც, გრაფიტები იქ ძირითადად ადგილობრივ მოწესებებსა და სასულიერო პირებს ეკუთვნით; მათ გვერდით იშვიათად თუ შეხვდებით ჩვეულებრივი მომლოცავის მიერ ამოკაწრულ წარწერას.

შუა საუკუნეების ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის ნაკაწრ წარწერებსა და კედლის შეღესილობაზე მელნით შესრულებულ მინაწერებს



დოდოსრქა
Dodosrka

გამორჩეული ადგილი უჭირავს. ამ სახის ქართული ნაკაწრი წარწერები მრავლად მოიპოვება როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე ეკლესია-მონასტრებში (მაგალითისათვის მრავალთაგან შეიძლება ითქვას სახელები ვარძია, ვანის ქვაბები, ატენის სიონი, რკინის მონასტერი, თელავანის ჯვარპატიოსანი, რუისი, ნიქოზი, ძველი შუამთა, სვანეთის ეკლესიები, ღიხნე), ისე პალესტინასა და სინას ნახევარკუნძულზე. მათ შორის გარეჯის მონასტრების ნაკაწრი წარწერები და ნახატები რაოდენობრივი თვალსაზრისითა თუ მრავალფეროვნება-სიძველით უთუოდ გამორჩეულია, ხშირ შემთხვევაში — სწორუპოვარიც. მრავალმთის ნაკაწრი და მელნით შესრულებული წარწერებისა და ნახატების, ისევე როგორც სოგადად შუა საუკუნეების გრაფიტების თავისებურება ეპიგრაფიკულ ძეგლთა შორის რამდენიმე გარემოებით ჩანს განპირობებული: ჩვეულებრივ გრაფიტები, მცირე გამოჩენილი

ღიხნის გარდა, სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის, მსოფლმხედველობისა და განათლების მქონე პირთა მიერ არაოფიციალურად, სახელდახელოდაა ამოკაწრული (განსხვავებით ლაპიდარული ძეგლებისაგან, რომლებიც პროფესიონალი დამწერის მიერ ტექსტის ენობრივ-ორთოგრაფიული ნორმების და ქვაზე კვეთის შესაბამისი ტექნიკის დაცვით სრულდებოდა). ნაკაწრი წარწერების შემსრულებლები, რომელთა სოციალური სპექტრიც საკმაოდ ფართოა, კედლის შეღესილობაზე თუ შედარებით რბილი ქვის ზედაპირზე კალმისებური იარაღით წარწერას ისევე კაწრავენ, როგორც ტექსტის რბილ მასალაზე წერისას. სწორედ ეს გარემოება — ამოკაწრის პროცესის განსხვავება კვეთის ტექნიკისაგან,


საწერი მასალის (კედლის ნაღესობა, კალმისებური წვეტიანი იარაღი) ხასიათი — განაპირობებდა გრაფიტების პალეოგრაფიულ მსგავსებას რბილ მასალაზე (ეტრატი, ქაღალდი) შესრულებულ ძეგლებთან. დადგენილია, რომ ამ სახის ეპიგრაფიკულ ძეგლებში გრაფემების მოხაზულობა და მათი განვითარება არსებითად ხელნაწერი წიგნის, განსაკუთრებით კი მის აშეებზე სხვადასხვა პირთა მიერ შესრულებული მინაწერების ასოთა მოხაზულობასა და მათს ევოლუციას შეესაბამება; ასევე მსგავსებას ამჟღავნებენ ისინი ჭედური ხელოვნების ძეგლებზე შესრულებულ წარწერებთანაც. ისიც ნიშნულია, რომ გრაფიტები ტექნიკური შესრულებითა და შინაარსობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, ბევრად უფრო ხალხური და პალეოგრაფიულად მრავალფეროვანია. თავის მხრივ, აღნიშნული გარემოება გარკვეულწილად ართულებს ამ ტიპის ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების დადგენას და გარკვეულ ეპოქაში გამჟღავნებული პალეოგრაფიული ნიშნებით მათს დათარიღებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გრაფიტების შესრულების ქრონოლოგიური საზღვრების დადგენისა და მათი პალეოგრაფიული თავისებურებების შესახებ მსჯელობისას, ტექსტის გრაფიკული და ენობრივი თავისებურებების გვერდით, ძეგლის დანიშნულებასა და არქიტექტურულ-სტრუქტურულ მონაცემებთან ერთად, წარწერის შემსრულებლის წარმომადგენლობასა და მისი სოციალური კუთვნილების განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

გარეჯის ნაკაწრი წარწერებისა და ნახატების დათარიღებისას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ვითვალისწინებდით: წარწერის პალეოგრაფიას; წერილობითი წყაროების ცნობებს წარწერაში მოხსენიებული პირების შესახებ; გამოქვაბული ეკლესიისა და სათავეს შექმნის სავარაუდო პერიოდს; ნაღესობის ერთი ან რამდენიმე ფენის არსებობის შემთხვევაში — მათ მონაცვლეობასა და შესრულების ეტაპებს; ინტერიერის ფერწერით შემკობისას — მოხატულობის შექმნის ქრონოლოგიურ



საზღვრებს: ნაკაწრი წარწერებისა და ნახატების განთავსების თავისებურებებსა და მათ მიმართებას მათს მომიჯნავედ დატანილ თარიღთან თუ მიახლოებით დათარიღებულ წარწერებთან. რაც შეეხება ნახატ გრაფიკებს, მათი შექმნის დროის განსაზღვრისას, უპირატესობა ენიჭება იმ ნაკაწრ გამოსახულებებს, რომელთაც განმარტებითი ან მლოცველთა წარწერები ახლავს. ამ შემთხვევაში წარწერის თარიღის, მასში მოხსენიებული პირის, აგრეთვე ტექსტის პალეოგრაფიის საშუალებით შესაძლებელი ხდება როგორც ნახატის შესრულების სუსტი ან მიახლოებითი დროის დადგენა, ისე ნახატი გრაფიკის ავტორის სოციალური წარმომავლობის განსაზღვრა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ნახატი გრაფიკებისათვის დამახასიათებელი ტრადიციულობის, გარკვეული კონსერვატიულობის გამო მათი დათარიღება სტილის მიხედვით გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული; მიუხედავად ამისა, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება პროფესიონალთა მიერ გაწაფული ხელით შესრულებული ისეთი გამოსახულებები, რომელთა დათარიღებაც შესაძლებელია მათში მეტნაკლები სიცხადით გამოვლანებული მხატვრულ-სტილისტური ნიშნების მიხედვით.

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ეკლესია-მონასტრებში, მათ შორის განსაკუთრებით ხშირად ზემო სვანეთში, მლოცველთა მიერ შესრულებული გრაფიკების გვერდით გვხვდება ოფიციალურად ამოკაწრული მოსახსენებლები და ეპიგრაფიკული დოკუმენტები.¹ მათგან განსხვავებით, მრავალმთის მონასტრებში, როგორც წესი, ნაკაწრი წარწერები ადგილობრივი მოწესებისა და პილიგრიმების მიერ მონასტრისათვის გაწეული რაიმე სამსახურის და შეწირულების გაღების გარეშე, უნებართვოდაა შესრულებული. ეკლესია-მონასტრის კედლებზე სულის საოხად, სოგჯერ კი საკუთარი სახელის აღსაბეჭდავად წარწერების უნებართვოდ ამოჭრა-ამოკაწრვა ფართოდ იყო გაერთიანებული მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ძველ რუსეთში ეს მოვლენა აისახა კიდევაც იურიდიულ აქტებში, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ ეკლესიის კედლებზე წარწერების გაკეთება ხელისუფალთა მიერ კანონით მკაცრად ისჯებოდა.² 1921-1929 წლების ექსპედიციების დროს უდაბნოს, დოდოს, ნათლისმცემლისა და ბერთუბნის მონასტრებში ნანახი ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით, თავის დროზე გ. ჩუბინაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ გრაფიკების შესრულების მომენტში ისინი მიტოვებულნი და უმოქმედონი უნდა ყოფილიყვნენ, რამდენადაც იქ მისულ მლოცველებს თავისუფლად შეეძლოთ წარწერების ამოკაწრვა როგორც საკურთხეველში, ისე ტაძრის სხვა ნაწილში.³ სომხურ წარწერებთან დაკავშირებით ეს თვალსაზრისი გაიზიარა ლ. მელიქსეთ-ბეგმაც.⁴ ამ თვალსაზრისის განვრცობა მრავალმთის არსებობის ადრეულ პერიოდზე, ვიდრე XVII-XVIII საუკუნეებამდე დღეისათვის ნაკლებ სარწმუნო ჩანს, რამდენადაც როგორც ზემოთ ჩამოთვლილ მონასტრებში, ისე მრავალმთის დასავლეთი მასივის (წამებული, მრავალწიარო, თეთრი უდაბნო) და ივრისპირეთის (საბერებები, სატორგე, ქოლაგირი) მონასტრებში ადგილობრივი მოწესებისა და მლოცველების მიერ შესრულებული წარწერები საპირისპირო მოვლენის - სამონასტრო აღშენებლობისა და ცხოვრების ინტენსივობის ფონზე ჩნდება. ბოლო ხანებში, როგორც დასავლეთი მასივის, ისე ივრისპირა გარეჯის მონასტრების კომპლექსურმა შესწავლამ და იქ ფიქსირებულმა ეპიგრაფიკულმა მასალამ საფიქრებელი გახადა, რომ გარეჯის ამ ნაწილში არსებული მონასტრები და მათ



ნათლისმცემელი
Natlismtsemeli



წამებული
Tsamebuli

რომლებიც კალეოგრაფიულად X-XV საუკუნეებს განეკუთვნება (მრავალწიქარო, უდაბნო, წმ. დოდოს მონასტერი).

გარეჯის მრავალმთის გრაფიკთა შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც სხვადასხვა რიგის ნაკაწრ გამოსახულებებს (კალკეული სიმბოლოების, ყრინველებისა და ცხოველების ფიგურების, სხვადასხვა სიუჟეტის) ასლაკს და მათს განმარტებას წარმოადგენს; მათი არსებობის ქრონოლოგიური ყარგლები საქმოდ ვრცელა და XI-XVIII სს. მოიცავს.

მრავალმთის მონასტრები აღმოსავლეთის საქრისტიანოს იმ სასულიერო კერათა რიგს ეკუთვნის, სადაც სულიერ ღვაწლს განუყოფლად ერთვოდა შემოქმედებითი ცხოვრება - მწიგნობრობა და მასთან დაკავშირებული სყერობი, აგრეთვე კედლის მხატვრობა, დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგი; ამის დამადასტურებელია გარეჯის მრავალრიცხოვან წარწერებში გამოჩენული ჯგუფი ნაკაწრი წარწერებისა და ნახატებისა, რომლებიც კალეოგრაფიული ხასიათითა და მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით კალიგრაფთა და პროფესიონალ მხატვართა, მეტწილად მხატვარ-მინიატურისტთა მიერ ჩანს შესრულებული. სამაგალითოდ შეიძლება დაგვესახელებინა უდაბნოს მონასტრის ძველი სატრაპეზოს და ხარების ეკლესიის ნაკაწრი და საღებავით შესრულებული წარწერები და ნახატები. ამ რიგის წარწერები ასოთა დახვეწილი მოხაზულობით, შესრულების პროფესიონალური ხასიათით და წიგნიერებით გამოირჩევა. ბერთუბნის, განსაკუთრებით კი უდაბნოს მონასტრის ქვაბ-სამლოცველოებს მრავალგან შემოუნახავს ვინმე ქერობინის მიერ კალმისებური იარაღით უმეტესწილად სკამიწვენიით სიფაქისით ამოკაწრული, იშვიათად კი ოქროსყვრი საღებავით, წინებული კალიგრაფიული მხედრულით შესრულებული წარწერები; მათი ნაწილი 1314 წლითაა დათარიღებული. ნიშნული ჩანს წარწერათა ამ ჯგუფის შემსრულებლის მაღალი პროფესიული დონე, ისევე როგორც მისეულ ერთ-ერთ (საღებავით შესრულებულ) წარწერაში დადასტურებული ტექსტი ხელნაწერთა გადაამწერების მიერ ანდერძ-მინაწერებში გამოყენებული ყორმულისა - "ხელი მწერლისაი ლპების, ხოლო ნაწიერი ჰკიეს". ეოველივე უს საფიქრებელს ხდის, რომ ქერობინი დახელოვნებული კალიგრაფი უნდა ყოფილიყო; გამორიცხვული არ არის, რომ იგი თაკისი საქმიანობით ხელნაწერი წიგნის მხტვრულ გაფორმებასთანაც კი იყო დაკავშირებული.


Handwritten notes in Georgian script, including the word 'უდაბნო' (Udabno) and other illegible characters.

უდაბნო
Udabno

ბ. ნაკაწრი წარწერების მეორე ჯგუფი კალიგრიმული ხასიათისაა და გარეჯში მისულ სხვადასხვა ეროვნების მრავალრიცხოვან მომლოცავთ ეკუთვნის. ეს წარწერები ქრონოლოგიურად XI-XIX საუკუნეებს განეკუთვნება და შესრულებულია ქართულ, სომხურ, ბერძნულ, რუსულ და აღმოსავლურ ენებზე. მომლოცველთა წარწერები ფიქსირებულ იქნა კილიგრიმების მარშრუტში შემავალ იმ მონასტრებში, რომელიც მიემართებოდა წმ. დავითის საყლაგისკენ და მოიცავდა ქედს გადაღმა

და გარეჯში მისულ სხვადასხვა ეროვნების მრავალრიცხოვან მომლოცავთ ეკუთვნის. ეს წარწერები ქრონოლოგიურად XI-XIX საუკუნეებს განეკუთვნება და შესრულებულია ქართულ, სომხურ, ბერძნულ, რუსულ და აღმოსავლურ ენებზე. მომლოცველთა წარწერები ფიქსირებულ იქნა კილიგრიმების მარშრუტში შემავალ იმ მონასტრებში, რომელიც მიემართებოდა წმ. დავითის საყლაგისკენ და მოიცავდა ქედს გადაღმა


გამოკვეთილ უდაბნოს მონასტერს, ხევის მეორე მხარეს გაშლილ წმ. დოდოს მონასტერს, აგრეთვე უდაბნის ქედის გაყოფებით, დასავლეთითა და აღმოსავლეთით განლაგებულ ნათლისმცემლისა და ბერთუბნის მონასტრებს. აღსანიშნავია, რომ მრავალმთის დასავლეთი მასივისა და იერიხისპირეთის პერიფერიულ მონასტრებში ქართული პილიგრიმული წარწერები იშვიათად დასტურდება, ხოლო უცხოენოვანი გრაფიკები უაღრესად მცირეა.




სატორგე
Satorge

ამ სახის ადრეული, IX-X საუკუნეების ქართული წარწერები ძირითადად მისახსენებლებს წარმოადგენს. ისინი ჩვეულებრივ იწყება ტრადიციული ფორმულით - "ქრისტე, შეიწყალე..." ან "ქრისტე, შეიწყალე მონა 'შენი ...". სოგ შემთხვევაში წარწერა ანონიმურია და არ შეიცავს არანაირ მითითებას დამწერის ეინაობის თაობაზე. ამ ფორმულის სიძველეზე მიუთითებს როგორც მისი გავრცელება ხატმებრძოლეობის წინა პერიოდის

ბი'სანტიორ ნუმი'სმატიკაში, ისე ეპიგრაფიკაში.⁷ დონატორთა, უფალ-განმგებელთა და მლოცველთა ამ სახის ადრეული მოსახსენებლები მრავლად მოიპოვება როგორც ჩვენი ქვეყნის ეკლესია-მონასტრების კედლებზე, ისე ქართული ხელნაწერი წიგნის ანდერძ-მინაწერებში. შემდგომ პერიოდში, სახელდობრ, XII-XIII საუკუნეებიდან მოყოლებული მოსახსენებელთა ეს ტიპი ეპიგრაფიკაში ფაქტობრივად აღარ გვხვდება - მათ ნაცვლად თანდათანობით ჩნდება შინაარსობრივად ბევრად უფრო ვრცელი ტექსტები, რომელთა უმეტესობა შეიცავს მიმართვას 'სოგადქრისტიანული ან ადგილობრივი წმინდანებისადმი (ცხადია იმის გათვალისწინებით, თუ ვისი სახელობისაა ეკლესია ან მთლიანად მონასტერი, რომელი წმინდანის გამოსახულებაა წარმოდგენილი ფრესკაზე და ა.შ.). იქვე ხშირად აღინიშნება მომლოცველის წარმომავლობა და ეინაობა ('სოგჯერ ოჯახის წევრთა მითითებითაც), მრავალმთაში მისვლის მიზანი და კედლება წამკითხველისადმი შენდობისა და მეოხებისათვის. ამ სახის სავედრებელი წარწერები ხშირდება XIII-XIV საუკუნეებიდან, განსაკუთრებით მრავლად კი ისინი უფრო მოგვიანოდ, XVII-XVIII საუკუნეებში სრულდებოდა.



უდაბნო
Udabno



უდაბნო
Udabno

რეკად (დაახლოებით სამ ათეულამდე) უმნიშვნელო ჩანს. ეს კი კიდევ ერთ დადასტურება უნდა იყოს იმ ფაქტისა, რომ წარწერები შესრულებულია არა მონოფონიური (როგორც ეს მიღებულია ისტორიოგრაფიაში), არამედ დიოფონიური სომხების მიერ - ცხადია, მათ ქართველ და ბერძენ მართლმადიდებელ მომლოცველებთან ერთად თავისუფლად მიესვლებოდათ გარეჯის პილიგრიმულ ადგილებში.

აღმოსავლური წარწერები გარეჯში შესრულებულია სპარსულ, არაბულ, უიღურულ და სირიულ ენებზე, თარიღდება XIV, XVI-XVIII საუკუნეებით. აღმოსავლური წარწერების ნაწილი შესრულებულია ქრისტიანი პილიგრიმების მიერ (უდაბნოს მონასტრის 1352 წლის პოლიგლოტური წარწერა ქართული, სომხური, სპარსული და უიღურული ტექსტებით; ქრისტიანთა ბერის არაბული წარწერა და სხვ.), ნაწი-

حامي ملك اساقى اعلى
خلاق اردلسر محاسروى


უდაბნო
Udabno

ლი კი მაჰმადიანების მიერ ჩანს შესრულებული. ეს უკანასკნელნი დამწერის ზოგად შეხედულებებსა და პოეტურ ნიმუშებს გადმოსცემენ ან წარმოადგენენ მიმართვას ბედისა და წამკითხავისადმი. აღმოსავლური გრაფიკების დათარიღებისას გასათვალისწინებელია როგორც მონღოლებთან, ირანთან და ოსმალეთთან აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ხასიათი, ასევე XVI-XVIII საუკუნეებში ირანსა და ოსმალეთს შორის ქართლ-კახეთის დასამორჩილებლად მიმდინარე განუწყვეტელი ბრძოლები, განსაკუთრებით კი ირანის დამოკიდებულება კახეთის სამეფოსთან. ირანელთა დამსჯელი ლაშქრობების, კახეთში თურქმან მომთაბარეთა ჩასახლებისა და ლეკთა დამარბეველი შემოსევების შედეგად გარეჯის მრავალმთის მონასტ-

რეგში სამონასტრო ცხოვრება პერიოდულად წყდებოდა. გამორიცხული არაა, რომ სწორედ ამ დროს იქნა შესრულებული სპარსული გრაფიკების უმრავლესობა: უდაბნოს მონასტრის მთავარ ეკლესიასა და სატრაპეზოში მაჰმადიანთა მიერ წარწერების ამოკაწვრის ფაქტები სხვაგვარად აუხსნელი იქნებოდა.

რუსული გრაფიკები გარეჯში XIX საუკუნიდან, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების შემდგომ ჩნდება. 1811 წელს, მას შემდეგ, რაც რუსეთმა გააუქმა საქართველოს ავტოკეფალია და ქართული ეკლესიის მეთაურად რუსეთის სინოდს დაქვემდებარებული ეპისკოპოსი დანიშნა, ქართული საეკლესიო ორგანიზაცია დაირღვა. ახალი საეკლესიო რეჟიმის თანახმად, გარეჯის მონასტრების კუთვნილი ყმა-მამული სახაზინო მართვა-გამგეობაში გადავიდა. მართლმადიდებელი რუსეთის მკერობელობის პირობებში გახშირდა გარეჯის იმ დროისათვის მოქმედ მონასტრებში – წმ. დავითის ღაერასა და ნათლისმცემელში რუსი მომლოცვეებისა და მოგზაურების მიერ ნაკაწრი და ფანქრით ნაწერი წარწერების გაკეთება. მათ შორის გვხვდება ცნობილ მოგზაურთა და სიძველეთა მოყვარულების გრაფიკებიც (მაგ. გრ. გორდევეის წარწერა ნათლისმცემლის მონასტერში).

XIX საუკუნის ქართული პილიგრიმული გრაფიკები უმთავრესად წმ. დავითის საფლავის, უდაბნოს და ნათლისმცემლის მონასტრებშია თავმოყრილი. ამ წარწერებში შეხედებით სხვადასხვა სოციალური ფენისა და რანგის წარმომადგენლებს – თავად-აზნაურობას, სამღვდელთა, მოქალაქეებს – ეპიტეტებსა და ხელისნებს, გლეხებს. ამ პერიოდის წარწერებში მოხსენიებულ პირთა ონომასტიკაში, ისევე როგორც სოციალურ ტერმინებსა თუ ხელობის აღმნიშვნელ დასახელებებში, ბუნებრივად აისახა ის ცვლილებები, რაც რუსულმა მმართველობამ, კულტურამ და ეოფამ მოიტანა საქართველოში.




უდაბნო
Udabno

ქართული და სომხური გვარები ახლა უკვე რუსული დაბოლოებებით ჩნდება (ავალოჯი მაჯი, ლითანოვი, ხხარტიევი, ანდრონიკოვი, ბარისოვი, კრელაევი, ზურაბოვი, რუსიევი, მოსაევი, ფირულოვი, ბელდასაროვი, მესტიევი, რევაზოვი, ბაჯალოვი, ბერძენოვი, მელიქოვი, ბერიევი, მანსვეტოვი, კბიტოვი და სხვ.); იმავედროულად, ქართული წოდებრივი, სამოხელეო და ხელობის აღმნიშვნელი სახელების გვერდით განჩნდა რუსული დასახელებები (კენინა, ბღაღაინინი, პრაპორშნიკი, პოდპორუნიკი, პოდპოლკოვნიკი, რუსეთის იარანალი, პორუნიკი, კავალერი, თუნკერი, პატრული, პრილიანტნიკი).

XIX-XX საუკუნეების წარწერებიდან უთუოდ აღსანიშნავია უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში შესრულებული რამდენიმე მინაწერი, რომლებიც გარეჯის მხატვრობისა და თანმხლები განმარტებითი წარწერების შესწავლის ისტორიას ასხავენ. ესაა მორჩილ რაუდენ ბარამიძის (I.VI.1899), ღაღო გუდიაშვილისა (8.VI.1916.) და სევერიან მისისაშ-

ვილის (3.IX.1929) ყანქრით შესრულებული მინაწერები.

XX საუკუნის 40-ანი წლების მიწურულიდან გარეჯის ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონის არსებობის პირობებში გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი უმეტესი მონასტრების ეკლესიები და ქვაბ-სამლოცველოები, იქ არსებული ფრესკები და ეპიგრაფიკული ძეგლები ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ჯარი-




უდაბნო
Udabno


სკაცების მიერ რუსულენოვანი წარწერებით აჭრელდა და საბრძოლო სასწავლო მეცადინეობების დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა. არანაკლები ზიანი მიაყენა გარეჯის მონასტრებს საექსკურსიოდ ჩასულთა თუ ადგილობრივი მოსახლეობის უდიერმა დამოკიდებულებამაც და იქ ყოფნის აღსანიშნავად წარწერების დატოვების მანკიერმა წესმა. საბედნიეროდ, გარეჯისადმი თავსდამტყდარი ეს განსაცდელი წარსულს ნაბარდა, თუმცა მრავალმთის მონასტრების დაზიანების საფრთხე ეკლავაც დიდია.

გარეჯის მრავალმთის გამოქვაბულ მონასტრებში პილიგრიმული წარწერების გარდა უხვად მოიპოვება *ნახატი გრაფიტები*, რომელთაც ზოგ შემთხვევაში განმარტებითი წარწერებიც ახლავს.¹⁰ შუა საუკუნეების ნახატი გრაფიტები ერთ-ერთი საყურადღებო მოვლენაა მხატვრული კულტურის ისტორიაში. ადრეულ ეპოქათა პეტროგლიფებისაგან განსხვავებით, ქრისტიანობისდროინდელი ნაკაწრი გამოსახულებები მხოლოდ ამ ბოლო ათწლეულთა მანძილზე იქცა საგანგებო კელევის საგნად. ბოლო ხანებში უურადღება მიექცა საქართველოში არსებულ მრავალრიცხოვან ნახატ გრაფიტებსაც, რომლის თავმოყრა და შესწავლა ფაქტობრივად ახლა იწყება.

გარეჯის ნაკაწრი ნახატები მონასტრის ძირობის წევრებისა და იქ მისული მომლოცველების მიერ არის შესრულებული. ამ ნაკაწრი ნახატების შესრულების ქრონოლოგიური ფარგლები მრავალმთის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრების, კედლის მხატვრობისა და ეპიგრაფიკის მონაცემების გათვალისწინებით XI-XIX საუკუნეებით განისაზღვრება. ნაკაწრი ნახატების ფიქსა-



უდაბნო
Udabno



უდაბნო
Udabno

ციისა და კვლევის პროცესში შინაარსობრივი თვალსაზრისით თვალნათლივ გამოიხატა რამდენიმე დიდი თემატური ჯგუფი: ანთროპომორფული და სოლომორფული გამოსახულებები; რელიგიური და საერო ხასიათის სიუჟეტური კომპოზიციები; სიმბოლური ხასიათის ცალკეული ნიშნები.

ანთროპომორფულ გამოსახულებათა რიგი ფართოა; აქ ვხვდებით, როგორც საერო პირთა, ისე ღვთისმსახურთა სახეებს. ეს რიგი ადამიანის სქემატური, სოგადი გამოსახულებების გვერდით საეკლესიო კონკრეტულ, ამა თუ იმ ეპოქის რეალიების მატარებელ, მკაფიოდ გამოხატული სოციალური თუ ეთნიკური ნიშნების მქონე სახეებსაც აერთიანებს.

სოლომორფულ ნახატთა რიგი მოიცავს ცხოველთა (ირემი, ღვთისმშობელი, ხარი, ფოცხვერი, აქლემი, ცხენი, სახედარი) და ფრინველთა (მტრედი, კაკაბი, ფარშევანგი, იხვი) ფართო წრეს. გვხვდება




თევზის, გველის, მორიელის გამოსახულებებიც. ამ გამოსახულებათა დიდი ნაწილის სიმბოლური მნიშვნელობა აშკარაა. რამდენადაც ცხოველთა და ფრინველთა სამოთხეო სახეობათაგან უმეტესობა ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენელია, ასევე არ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ მათი გამოსახულებები უშუალო შთაბეჭდილების შედეგად იქნა შესრულებული.



ადამიანთა და ცხოველთა განცალკევებული გამოსახულებების გვერდით გარეჯის მონასტრებში ხშირად გვხვდება მრავალფიგურიაანი სცენები, რომლებსაც სოფ შემთხვევაში განმარტებითი წარწერაც (წარწერებიც) ახლავს. ამ ტიპის ნაკაწრ ნახატებს შორის ყურადღებას იპყრობს ქრისტოლოგიური ციკლის კომპოზიციები და წმინდა წერილის ცალკეულ პერსონაჟთა გამოსახულებები. ამავე რიგს მიეკუთვნება ის სიუჟეტური კომ-

უდაბნო
Udabno

III.



წამებული
Tsamebuli



პოზიციები, რომლებიც ადგილობრივი იკონოგრაფიული ტრადიციებიდან იღებს სათავეს და მრავალმთის სასულიერო კერის დამყუძნებლის - წმ. დავითის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს უკავშირდება. როგორც ჩანს ამითვე უნდა აიხსნას გარეჯის ნახატ გრაფიკებში სიმრავლე ირმისა და გველეშაპის გამოსახულებებისა. რომელთაც წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლში (ლიტერატურულ თხზულებებსა და სახვითი ხელოვნების ძეგლებში) ტრადიციულად გამოირჩეული ადგილი უჭირავთ.

უღაბნო
Sdabno



საერო ხასიათის სიუჟეტური კომპოზიციები შინაარსობრივად სხვადასხვაგვარია. მათ შორის აღსანიშნავია შედარებით დიდი ჯგუფი ნახატებისა, რომლებიც ნადირობისა და მოგზაურობის ეპიზოდებს ასახავს.

გარეჯის ნახატ გრაფიკებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ცალკეულ სიმბოლურ გამოსახულებებსა და ნიშნებს, რომელთა მრავალმხრივი კავშირი ადრექრისტიანული ეპოქის, ისევე როგორც მომდევნო ხანის ანალოგიურ მასალასთან უდავოა. მრავალმთის მონასტრების ქვაბ-სამლოცველოებში დადასტურებული სიმბოლური გამოსახულებები და ნიშნები (ჯვრის სხვადასხვა ფორმები, ხელი, კიბე, ანძა, გემი, დავითის ვარსკვლავი, ნაძვი, შროშანი, ფარშევანგი, მტრელი, გველეშაპი, ღომი, თევზი, ანბანის

კვლევისას აღმოჩენილი ადგილობრივი ტრადიციებიდან. დროთა განმავლობაში ამ სიმბოლოთა თავდაპირველმა მნიშვნელობამ გარკვეული ცვლილებები განიცადა და ადგილობრივი ტრადიციების გაკლენით, თავდაპირველი სემანტიკური მნიშვნელობის თანდათანობითი ჩაქრობის კვალად, საკრალური ნიშნის ფუნქცია შეიძინა.



გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების, როგორც ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობა უთუოდ ღიძია როგორც საკუთრივ მრავალ-

უღაბნო
Sdabno

მთის კომპლექსის, ისე საქართველოს ისტორიის საკითხთა ვრცელი რიგის კვლევისას. ადრეული შუა საუკუნეებიდან მოკიდებული, ასწლეულთა მანძილზე გარეჯის წარწერებსა და ნახატ გრაფიტებს მრავალმხრივ აღუბუკდავთ ქვეყნის ისტორიული გეზის თანამდევი პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური და კულტურული მოვლენები. ეს მასალა განსაკუთრებით ფასეული ჩანს ონომასტიკისათვის. ამაზე მეტყველებს წარწერებში დადასტურებულ სასულიერო პირთა, სამეფო ოჯახის წევრთა, წარსინებულთა, მოხელეების, მოქალაქეების (ვაჭარ-ხელოსანთა) სახელების გამორჩეული სიმრავლე, მათი პალეოგრაფიული და ენობრივი მრავალგვარობა.

დიდია გარეჯის წარწერების მნიშვნელობა ქართული პალეოგრაფიისათვის – ადრეული ხანიდან მოკიდებული, ეპიგრაფიკული მასალა ადვილობრივ მონასტრებში ასომთავრული, ნუსხური და მხედრული დამწერლობის არანეკულებრივად მრავალგვარი ნიმუშებითაა წარმოდგენილი. პალეოგრაფიული თვალსაზრისით ამ მასალის მნიშვნელობას საგრძნობლად ზრდის ის გარემოებაც, რომ მრავალმთის ნაკარ წარწერებს შემოუნახავთ ქართველ მეფე-დიდებულთა, სასულიერო მოღვაწეთა, მოხელეთა ავტოგრაფები (სოფ შემთხვევაში ნახატებიც კი).



უდაბნო
Udabno

* * *


მრავალმთის მონასტერთა ეპიგრაფიკული ძეგლებით დაინტერესება XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება, იმ პერიოდიდან, რომელიც სასოგადოდ იყო ნიშანდებული საქართველოს სიძველეებისადმი ყურადღების თანდათანობითი გამახვილებით. იმ დროიდან განკლებილი ასომთავრული წლის მანძილზე დაგრძელები მასალები, სახელდობრ სხვადასხვა კუბლიკაციები და სიძველეთასაცავებში დაცული პირველწარბები მრავალმხრივია საგულისხმოდ. რაც მთავარია, მათი წყალობით დღემდე შემოგურნა მასალები და მოწმობანი იმ ძეგლთა თაობაზე, რომლებიც დრო-უამის განმავლობაში ერთიანად წარისოცა ან მნიშვნელოვნად დაზიანდა.

დღეისათვის ცნობილთა შორის უადრესი მასალები გარეჯის ეპიგრაფიკულ ძეგლთა შესახებ გასული საუკუნის შუახანებს განეკუთვნება. 1840-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველს ეკლესიის ეგზარქოსის *კვკენის* დავალებით პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისათვის გასაგზავნად თავმოყრილი იქნა წარწერების ასლები საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეკლესია-მონასტრებიდან. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა პირების ეს კრებული ახლა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერთა ფონდშია დაცული [H-12 (C-37); H-70]]. იქ თავმოყრილი წარწერების უმეტესობა მ. ბროსემ იმხანადვე ჩართო თავის გამოსცემულ ნებელი რჩებოდა, მიიკავს ეპიგრაფიკული ძეგლების ასლებს გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრიდან. ესაა წმ. იოანე წინამორბედის ჰელური ხატის (XVI ს.) 'სურგზე მოთავსებული საკტიტორო ტექსტი, აგრეთვე მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში წარმოდგენილი სამეფო პორტრეტების - თამარ მეფის, ლაშა-გიორგის და დავით სოსლანის ფრესკული გამოსახულებების თანმხლები განმარტებითი წარწერები." ამ ასლების მნიშვნელობა ძალზე დიდია, რადგან ფრესკული წარწერების უმეტესობა დღეს აღარ არსებობს, საგრძნობლად დაზიანდა თავად პორტრეტებიც; ასე რომ, უცნობი ავტორის მიერ გადმოწერილი ეპიგრაფიკული მასალა ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში არსებული სამეფო საკტიტორო პორტრეტების იდენტიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად რჩება.

მრავალმთის ეპიგრაფიკული ძეგლებისადმი სამეცნიერო თვალსაზრისით ყურადღების გამახვილების საწყისები *ქლატონ იოსელიანი* (1809-1875) არის დაკავშირებული. გარემო, რომელშიც მომავალი მკვლევარი და სასოგადოდ მოღვაწე ჩამოყალიბდა, თავად განაპირობებდა მისი ინტერესის სფეროს - ამ მხრივ თუნდაც ის გარემოება იქმნებოდა, რომ როგორც დავით რექტორის (1754-1824) მოწაფე, იგი, თავისი მასწავლებლის მსგავსად, ცხადია, მრავალმხრივ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მრავალმთის სამონასტრო გარემოსთან. ამგვარ პირობებში, მით უფრო უწვეულოდ ჩანს ის გარემოება, რომ პლ. იოსელიანის მემკვიდრეობაში - როგორც გამოქვეყნებულ ნაშრომებში, ისე საარქივო მასალებში, - ფაქტობრივად არ ჩანს გარეჯის მრავალმთის მონასტერთა შესახებ არსებული სავანეებო მასალები. არადა, ისიც უთუოდ ნიშნეულია, რომ მკვლევარი ზოგ შემთხვევაში იმოწმებს გარეჯის ისტორიის მასალებს - მაგალითად, ესება წმ. დავითის პირველსამყოფელს

თბილისში,¹² ჩამოთვლის მრავალმთის მონასტრებს (ეს გარეჯის უდაბნოთა ეველაზე ძველი და შედარებით უფრო სრული ნუსხაა).¹³ რაც მთავარია, გიორგი XII-ის (1798-1800) ცხოვრების ამსახველ თხზულებებში მოხმობილია ცნობები წმ. დავითის ლავრასა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში დაკრძალულ მოღვაწეთა შესახებ. იქვე მოტანილია ლავრის წმ. იოანე ღმრთისმეტყველის ეკლესიაში დაკრძალული მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605) საფლავის ეპიტაფიის ტექსტი, რომელიც აღრიდანვე, სწავლულის "ქაღალდებსა შინა შენახელი" ყოფილა.¹⁴ ამ გადმონაწერის მნიშვნელობას ისიც ურდის, რომ წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში არსებული ეს ეპიტაფია დღეისათვის ნამონაშალი კლდითა და მიწითაა დაფარული. 1845 წელს პლ. იოსელიანს შეეხებოდა გაქვეყნება ცნობილი მოგზაურისა და წმინდა აღვილთა მამლოცავის ა. მურავიოვისათვის.¹⁵

ქართველი სწავლულისეული ცნობები გარეჯის ისტორიის, მისი მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების, იქ მოღვაწე ცნობილ მოწესეთა და წმინდანთა შესახებ, ისევე როგორც მასალები მონასტრების სიძველეების თაობაზე ა. მურავიოვის პუბლიკაციაში იქნა ჩართული. კარგადაა ცნობილი ისიც, რომ 1847-1848 წწ. საქართველოში მოგზაურობამდე მარი ბროსეს ხშირი მიმოწერა პქონდა პლატონ იოსელიანთან, რომელიც ისტორიული ხასიათის მასალებთან ერთად მას ქართული წარწერების პირებსაც უგზავნიდა¹⁶ ყოველივე ამის გათვალისწინებით, საესებით შესაძლებელია, რომ მიმოწერა გარეჯის მასალებსაც შეეხო და მ. ბროსე მონაცემებს მრავალმთის ეპიტრაფიის შესახებ სწორედ პლატონ იოსელიანისგან იღებდა.



საბერეები
Sabereebi

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, ქართული სიძველეებისადმი სამეცნიერო ინტერესების გაძლიერების კვალად, იხრდება ყურადღება გარეჯისადმი, როგორც ძველი საქართველოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი სასულიერო კერისადმი. სწორედ ამის შედეგია მთელი რიგი პუბლიკაციებისა, რომელიც სამონასტრო კომპ-

ლექსის ისტორიას ეძღვნება. ადრეული, სამოგზაურო-პილიგრამული ხასიათის ლიტერატურისაგან განსხვავებით (რომლის დამახასიათებელი მაგალითები გრ. გორდევებისა და ა. მურავიოვის პუბლიკაციებია) იმხანად გარეჯის მრავალმთის ცალკეული მონასტრების ისტორიის წარმოსახენად სოკადად აღინუსხებოდა სიძველეები (*ტარახი ალექსი-მესხი შეილი*): იმავედროულად, ქართულ პერიოდიკაში (ძირითადად გაზეტებში) თანდათანობით გაჩნდა პუბლიკაციები მრავალმთის ისტორიის მასალებსა თუ თანამედროვე ყოფის სხვადასხვა მხარეებზე. ნიშნულია, რომ ამგვარ პუბლიკაციებში სოგჯერ ეპიგრაფიკული მასალებიც არის მოხმობილი, როგორც გარეჯის ისტორიის წყარო. მაგალითად, 1884 წელს გამოქვეყნებულ მცირეტანიან ნარკვევში, რომლის ავტორია მღვდელ-მონაზონი *კალისტრატე*, გარეჯის მრავალმთის ისტორიისათვის თვალის გაღვენების კვლად, ჩართულია საყურადღებო. მანამდე უცნობი მასალებიც, ესაა, სახელდობრ, წმ. დავითის ლავრის ცენტრალური შესახველელის რელიეფური შექმეულობის აღწერა (სათანადო სახისმეტყველებითი გააზრებით), რომელსაც ერთვის იქვე ამოღარული ასომთავრული წარწერის ტექსტი. წიგნაკში მოიპოვება მსოფლ ცნობები ბეროუბნის მონასტრისა და მისი მოხატულობის თაობაზეც.¹⁷

XIX საუკუნის მიწურულს ქართულ პრესაში უკვე ხაკმაოდ ხშირად ქვეყნდებოდა მრავალმთის სამონასტრო კომპლექსის ისტორიასთან დაკავშირებული მასალები.¹⁸ მათ შორის სოგჯერ შეხვდებით ეპიგრაფიკულ ძეგლებსაც. ასეთია, მაგალითად, მამა *პოლიექტოს კარბელა შეილის* ნარკვევები, რომელთა ერთი ნაწილიც იმქამინდელ გაზეთებში გამოქვეყნდა,¹⁹ აგრეთვე მორჩილის, *რაჟდენ ბარამიძის* პუბლიკაცია, რომელიც ეძღვნება თამარის პორტრეტს ბეროუბნის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში. ავტორი გამოსახულებას XV საუკუნეს, “ან ცოტა შემდეგს” აკუთვნებს; იქვე მოტანილია ფრესკის თანმხლები განმარტებითი წარწერებიც.²⁰ რაჟდენ ბარამიძე სასოგადად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული მრავალმთის ეპიგრაფიკით. სწორედ ამასვე უნდა მიუთითებდეს 1899 წლის ივნისში მის მიერ უდაბნოს მონასტრის ხარკების ექლესიაში ფანქრით შესრულებული გრაფიტი - “*მოვილოცე და გადავიღე აქაური მხატვრობის წარწერები მე, მორჩილმა რაჟდენ ბარამიძემ სეკთ წ. თიბათის 1-სა*”.

გარეჯის სამეცნიერო შესწავლის კვლად მრავალმთის მონასტერთა ეპიგრაფიკული მასალის თავმოყრა თავის დროზე განუხრახავს *ექვთიმე თაყაიშვილს*. მან 1913 წლის აპრილში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სასოგადოების დაჯალებით, ამავე სასოგადოების წევრთან, არქიმანდრიტ ნაზარისთან და ფოტოგრაფ თედო ქიუნესთან ერთად წმ. დავითის ლავრა, უდაბნოსა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრები მოიარა.²¹ მოგზაურობის დროს აღნუსხული იქნა მონასტრებში დაცული ხელნაწერები, ნიუთები, აგრეთვე დაშიდარული, ფრესკული წარწერებისა და მლოცველთა გრაფიტების ერთი ნაწილი, შესრულდა ყოველივე, რისი გაკეთებაც რამდენიმე დღის განმავლობაში იყო შესაძლებელი. იმხანადვე დაისახა გამოქვაბული კომპლექსის მხატვრობისა და ეპიგრაფიკის შემდგომი ფიქსაციისა და შესწავლის გეგმაც. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ავტორი თავმოყრილ მასალას ცალკე ნარკვევის (მონოგრაფიის?) სახით გამოსაქვეყნებლად ამზადებდა. ეს საინტერესო ჩანაფიქრი ექვთიმე



უდაბნო
Udabno

თაყაიშვილის მოცულობის გამო, სამწუხაროდ, აღარ განხორციელებულა.

მკვლევარის პირად არქივში, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, მოიპოვება ამ ექსპედიციასთან დაკავშირებული საინტერესო მასალები, რომლებიც საუკლე დღიურებთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თეთრად გადაწერილ, სისტემატიზირებულ და, როგორც ჩანს, გამოსაქვეყნებლად გამიზნულ ტექსტებსაც მოიცავს.²² მასალას ერთვის დიდი ზომის (18x24 სმ) მაღალხარისხიანი შავ-თეთრი ფოტოებიც, რომლებზეც მრავალმთის სხვადასხვა მონასტრის ხუროთმოძღვრული და კედლის მხატვრობის ძეგლებია აღბეჭდილი.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოწყობილი ექსპედიციის პროცესში ყუქსირებული მასალა გარეჯის მრავალმთის გამოქვაბული მონასტრების, მათი მოხატულობებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების საგრძნობი დაზიანების (ხშირ შემთხვევაში კი დაღუპვის) გამო დღეისათვის საგანგებო მნიშვნელობას იქნის. ექვს ათეულამდე ფოტო გადაუღია თვლს ქიუნეს, რომელმაც, ამას გარდა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით, იმხანადვე შეასრულა ფერწერული პირები ბერთუბნის მონასტრის მთავარ ტაძარში წარმოდგენილი თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის პორტრეტებიდან.

მოგვიანებით, 1916 წელს, "სახალხო გაზეთში"²³ რამდენიმე ნაწილად დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის ნარკვევები გარეჯის მონასტრების შესახებ. აქ სამონასტრო კომპლექსის ისტორიის სხვა მასალებთან ერთად საგრძნობი ადგილი უჭირავს წარწერებსაც. სამწუხაროდ, აღნიშნული პუბლიკაცია, გაურკვეველი მიზეზების გამო, დაუმთაფ-

რებელი დარჩა.

ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივითა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაეხმობით, 1916 წელსვე, დასაღესპად განწირული ფრესკების ასლით გადმოსაღებად, ახლად დაარსებული "ქართველ მხატვართა საზოგადოების" გამგეობის დაავალებით გარეჯში მივლინებულნი იყვნენ ახალგაზრდა მხატვრები - ლადო გუციაშვილი და მიხეილ ჭიაურელი. სწორედ იმუამინდელი უნდა იყოს მათ მიერ უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში ფანქრით შესრულებული წარწერა, რომელიც ამ ექსპედიციის თაობაზე მოგვითხრობს.

1919 წელს მრავალმთის მონასტრებში გაიგზავნენ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის (КИАИ) ადიუნქტი დიმიტრი გორდეევი და საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ასისტენტი შალვა ამირანაშვილი. მოგვიანებით, 1921 და 1929 წლებში დიმიტრი გორდეევი მრავალმთის მონასტრებში გიორგი ჩუბინაშვილის მიერ მოწვეობილ ექსპედიციებშიც იღებდა მონაწილეობას. სწორედ ამ ექსპედიციების შედეგია მისი მოზრდილი ნაშრომი, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.²⁴ ნარკვევში მკვლევარის ყურადღება ძირითადად ფერწერაზეა გამახვილებული, თუმცაღა ფრესკების აღწერა-დახასიათებასთან ერთად აქ სოფ შემოხვევაში წარწერებიცაა აღნუსხული.

გარეჯის მრავალმთის მონასტერთა კომპლექსური სამეცნიერო კვლევის სათავეები გიორგი ჩუბინაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. სწორედ მისი ინიციატივით, კულტურის ძეგლთა მთავარი კომიტეტის მიერ 1921 წლის შემოდგომით მოეწყო საგანგებო სამეცნიერო ექსპედიცია, რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ სარგის კაკაბაძე, ლეონ მელიქსოზიანი, დიმიტრი გორდეევი, შალვა ამირანაშვილი, ევგენი ლანსერე, ხელახალი, უფრო დიდი ექსპედიციის მოწვეობა 1929 წელს გახდა შესაძლებელი. იმხანად გარეჯს გაემგზავრა თხუთმეტკაციანი ჯგუფი, რომელმაც მრავალმთის მონასტრებში ხუთი კუთრა დასკო. ამ ექსპედიციების დროს დაგროვილი დიდიძალი მასალა - ფოტოები, არქიტექტურული ანაზომები, ჩანახატები, ყვერწერული ასლები და წარწერების ტექსტები (ზოგჯერ მონახაზებითურთ) საფუძვლად დაედო გიორგი ჩუბინაშვილის ფუნდამენტურ მონოგრაფიას, რომელიც დაწერიდან მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ გამოიცა.

ამ წიგნის დაწერიდან შვიდი ათეული წელი გავიდა, მისი გამოქვეყნებიდან - ორმოცდაათ წელზე მეტი. მიუხედავად ამისა, გიორგი ჩუბინაშვილის ეს მონოგრაფიული ნარკვევი კვლევაც რჩება გარეჯის მრავალმხრივი შესწავლისათვის მიმართულების მიმცემ ძირითად ნაშრომად. სახელოვნებათმცოდნეო, ისტორიული თუ სხვა ასპექტების გვერდით ეს ეპიგრაფიკის თაობაზეც ითქმის, რადგან დასახელებულ გამოკვლევის გზით სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად იქნა შემოტანილი ნაწილი იმ ეპიგრაფიკული მასალისა, რომელიც დღემდე რჩება მრავალმთის ისტორიის ერთ-ერთ პირველწყაროდ.

1921 წლის ექსპედიციამ შემოთხამოთქვილი მონასტრებში დიდი რაოდენობით ქართულ, სომხურ, ბერძნულ, არაბულ, სირიულ, სპარსულ და თურქულ ენებზე შესრულებულ ფრესკულ და ნაკაწრ წარწერებს მიაკვლია. გიორგი ჩუბინაშვილის ცნობით,²⁵ ქართული ეპიგრაფიკული მასალის მონახაზების გადმოღება და შესწავლა მიზნობილი იქონდა სარგის კაკაბაძეს (რომელსაც ასევე ევალებოდა სამონასტრო არქივის შესახებ ცნობებისა და მასალების თავმოყრა), აღმოსავლურისა -

ლესონ მელიქსეთ-ბეგს ლესონ მელიქსეთ-ბეგს კალკით გადმოუღია რვა ბერძნული წარწერა, აგრეთვე ოცზე მეტი სომხური, ოცდაერთი სპარსული, არაბული და თურქული წარწერა, რომლებიც მას დასამუშავებლად ანა ბოლტუნოვა-ამირანაშვილისა და გრიგოლ წერეთლისათვის გადაუცია. 1921 წლის ექსპედიციის დროს თავმოყრილი მასალებისადმი მიძღვნილი საგანგებო გამოყენის გახსნის წინ, 1921 წლის 10 ნოემბერს, სარგის კაკაბაძემ წაითხა საჯარო მოხსენება, რომელიც გარეჯის ეპიგრაფიკულ ძეგლებს მიეძღვნა. ექსპედიციის დროს გადმოღებული წარწერების პირები (რომლებიც მრავალმთის მონასტრების მიხედვითაა თააგმოყრილ-დალაგებული), აგრეთვე რამდენიმე გრაფიკული ასლი ამჟამად მკვლევარის ოჯახში, მის პირად არქივშია დაცული. იქვე მოიპოვება მოხსენებისათვის მომზადებული მასალაც, სახელდობრ მოკლე შესავალი ტექსტის საწყისი ნაკვეთი, აგრეთვე ამონაკრები დოკუმენტებიდან და ეპიგრაფიკული ძეგლებიდან. მასალის გაცნობა ცხადყოფს, რომ სარგის კაკაბაძეს განზრახული ჰქონდა გარეჯის წარწერების პუბლიკაცია სათანადო გამოკვლევის დართვით. ეს ჩანაყიქრი მკვლევარს განუხორციელებელი დარჩა. რაც შეეხება ბერძნული და აღმოსავლური წარწერების პირებს, მათი აღგილსამყოფელის შესახებ არაფერია ცნობილი.

იმავუ პერიოდში გიორგი ბოჭორიძეს წმ. დავითის ლავრასა და ნათლისმცემლის მონასტერში გადმოუწერია რამდენიმე წარწერის ტექსტი.

ასე რომ, მიუხედავად გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი მნიშვნელობისა 1921 და 1929 წწ. მრავალმთის მონასტრებში აღნუსხული წარწერების დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელი დარჩა. მრავალმთის მონასტრების ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან გიორგი წუბინაშვილმა გამოსცა ნათლისმცემლის მონასტრის VII საუკუნის სტელის ლაპიდარული წარწერა, ქერობინის 1314 წლით დათარიღებული გრაფიტი ბერთუბნიდან, აგრეთვე XVII-XIX საუკუნეების ორ ათეულამდე წარწერა უდაბნოს, ნათლისმცემლის და ბერთუბნის მონასტრებიდან.²⁶

მოგვიანებით ეს წარწერები ფაქტობრივად უცვლელი სახით შევიდა *თეიმურაზ ბარნაველის* წიგნში კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ.²⁷ მათთან ერთად პუბლიკაციაში გაერთიანდა საკტიტორო გამოსახულებების თანმხლები ფრესკული წარწერები ქოლაგირის მონასტრიდან.²⁸

გარეჯის მრავალმთის იერისპირა ნაწილის მანამდე უცნობი კომპლექსების - ქოლაგირის, საბერეებისა და ქვაბების ხუროთმოძღვრების მოხატულობებისა და წარწერების შესახებ საყურადღებო ცნობები მოტანილია *ღიმიტრი ვონაშვილის* წერილებში. ავტორს ჯერ კიდევ 20-იანი წლების მიწურულს, ხოლო შემდგომ 1939 და 1941 წლებში უმოგზაურია გარეჯის ამ ნაწილში. მოგზაურობის დროს ავტორის მიერ შესრულებული მოკლე აღწერები რამდენიმე ჩანახატთან ერთად, რომლებიც ეპიგრაფიკული მასალის ნაწილსაც აერთიანებს, 1964-1965 წლებში გამოქვეყნდა.²⁹

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეოლოგიური ლაბორატორიის მიერ 70-იანი წლების განმავლობაში *გივი გაყრინდაშვილის* ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციების დროს მრავალმთის სხვადასხვა მონასტრის ქვაბ-სამლოცველთა ხუროთმოძღვრული ანაზომებისა და ფრესკების ფერწერული პირების შესრულების პარალელურად აღნუსხული იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე უცნობი წარწერების ნაწილიც. მათ შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა

რამდენიმე გრაფიტი წამებულის მონასტრის ე.წ. "ხარიტონის ქუაბიდან", რომლებიც გივი გაფრინდაშვილმა გამოაქვეყნა.³⁰ მასვე ეკუთვნის წინასწარი ცნობები ქოლაგირის საკტიტორო პორტრეტების თანმხლები განმარტებითი წარწერების ერთი ნაწილის ამოკითხვისა და მათ მიხედვით გამოსახულებათა იდენტიფიკაციის თაობაზე.³¹

მრავალმთის მონასტერთა ფრესკული წარწერები ადგილობრივი ფერწერული სკოლის მისაბტულობების შესწავლასთან დაკავშირებით ასევე ცნობილია სახელთულებათმცოდნეო გამოკვლევებიდან. *გიორგი ჩუბინაშვილის* უკვე დასახელებული მონოგრაფიის გარდა ესაა *შალვა ამირანაშვილის* ცალკეული წერილები და მონოგრაფია, რომლებშიც უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიისა და მისი საღვთაქვან მისაბტულობის საკითხებია განხილული.³² ისტორიულ პირთა პორტრეტების



ქოლაგირი
Kolagiri

თანმხლები განმარტებითი ხასიათის ფრესკული წარწერები დამოწმებულია *გაიანე ალიბეგაშვილის* გამოკვლევებში,³³ რომლებიც საერო პორტრეტს ეძღვნება, *გურამ აბრამიშვილის* სტატიებსა და მონოგრაფიაში,³⁴ *ანელი ვოლსკაიას*,³⁵ *ზაზა სხირტლადის*³⁶ ნარკვევებში. 1985 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ (სერით *ეპიგრაფიკული ძეგლები*) გამოსცა საბერეების გამოქვაბული კომპლექსის ქართული, სომხური და ბერძნული ფრესკული და საღვთავეთ შესრულებული წარწერების 'ხ. სხირტლადის მიერ მომზადებული კრებული'.³⁷

რაც შეეხება გარეჯის მრავალმთის უცხოენოვან წარწერებს, მათ შორის მხოლოდ სომხური წარწერებია შედარებით სრულად

აღნუსხული და გამოქვეყნებული. 1940 წელს დაბეჭდილ წერილში *ლევონ მეღიქსეთ-ბეგმა* თავი მოუყარა ოცნანი წლების სამეცნიერო ექსპედიციებში მონაწილეობის დროს მოპოვებულ სომხურ ეპიგრაფიკულ მასალას. ის ორ ათეულზე მეტი გრაფიტი, რომლებიც ავტორის მიერ იქნა ფიქსირებული და შესწავლილი, მთიკავის ქრონოლოგიურ მონაკვეთს XIII საუკუნის 70-იანი წლებიდან XIX საუკუნის ჩათვლით.³⁸ მათ შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა 1352 წლის ოთხენოვანი ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული პოლიგლოტური წარწერა, რომელსაც ლევონ მეღიქსეთ-ბეგი შემდგომ წლებშიც რამდენჯერმე მიუბრუნდა.³⁹

გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სომხურ წარწერებს საგანგებოდ შეეხო *პარკირ მურადიანი* საქართველოს სომხური ეპიგრაფიკის კრებულში.⁴⁰ ამ ნარკვევში ფაქტობრივად უცვლელად იქნა განმეორებული სომხური გრაფიტიების ლევონ მეღიქსეთ-ბეგისეული პუბლიკაცია, ამასთან მასალა ავტორისათვის დამახასიათებელი ტენდენციური თვალთახედვით არის განხილული.

* * *

გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების გეგმაზომიერი შესწავლა 1984 წლიდან დაიწყო. იმხანად კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფმა (*ღარეჯან კლდიაშვილი, თამარ ოთხმეხური, გიორგი ოთხმეხური*) მოაწყო დაზვერვითი ექსპედიცია მრავალმთის რამდენიმე მონასტერში. ექსპედიციაში ჯგუფს მეგზურობასა და დახმარებას უწევდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი *ირაკლი იაკობაშვილი*. ექსპედიციის ძირითადი ამოცანა მრავალმთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობების შეჯერება და მრავალმთის სხვადასხვა მონასტერში არსებული წარწერების წინასწარული აღნუსხვა იყო. საველე მუშაობის დროს შედარებით სრულად იქნა შესწავლილი წმ. ლავთის ლავრა და უდაბნოს მონასტერი. სამუშაოები დოლოს რქის, ბერთუბანის და ნათლისმცემლის მონასტრებში ტრანსპორტის უქონლობის გამო მხოლოდ ერთდღიანი დაზვერვითი გასვლებით შემოიფარგლა. მიუხედავად ამისა, გარეჯში მუშაობის ხანმოკლე პერიოდის მანძილზე, სამი კვირის განმავლობაში, აღინუსხა 270-მდე წარწერა, შესრულდა 60-მდე ქართული და 19 ბერძნული წარწერის წინასწარი გრაფიკული მონახაზი; ბერთუბნისა და ნათლისმცემლის მონასტრებიდან თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, ჩამოტანილ იქნა ნამონაშალი ბათქაშის ნატეხები წარწერათა ფრაგმენტებით (მათ შორის - ჯერ კიდევ გიორგი სუბინაშვილის მიერ გამოცემული XVII საუკუნის დამლევის წარწერა ბერთუბნის მონასტრის მთავარი ტაძრიდან ქვის მჭრულ პაპუსასა და აფრიას მოხსენიებით, რომელთაც ონოფრე მაკუტაძის წინამძღვრობისას შეიდი წელი უმუშავიათ ლავთის ლავრის გალაგების ასაგებად⁴¹).

ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალის მოცულობისა და მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით მომდევნო, 1985 წლიდან მრავალმთის ეპიგრაფიკული ძეგლების სრული სახით თავმოყრა და შესწავლა შეტანილი იქნა ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხუთწლიან გეგმაში (1985-1990 წწ.). იქიდან მოყო-

ღებულა. ორ-სამ კვირიანი ექსპედიციები ეპიგრაფიკული მასალის აღწესვისათვის ხისტემატიურად ეწეობოდა წელიწადში ორჯერ, აბრისისა და ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში. ექსპედიცია ძირითადად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტთა თანამშრომლებით იქნა დაკომპლექტებული: *დარეჯან კლიაიშვილი* (ექსპედიციის ხელმძღვანელი) - ხელნაწერთა ინსტიტუტი (ქართული ეპიგრაფიკა); *გიორგი ოთხმესური* - ხელნაწერთა ინსტიტუტი (ქართული ეპიგრაფიკა); *თამარ ოთხმესური* - ხელნაწერთა ინსტიტუტი (ბერძნული ეპიგრაფიკა); *ზაზა სხირტლაძე* - ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი (ქართული და სომხური ეპიგრაფიკა); *ნიკო ხუციშვილი* - ხელნაწერთა ინსტიტუტი (სპარსული ეპიგრაფიკა). წლების მანძილზე ექსპედიციასთან თანამშრომლობდნენ და აქტიურ დახმარებას უწევდნენ გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლები *კონა ჯაფარიძე* (არაბული ეპიგრაფიკა) და *გრიგოლ ბერაძე* (სპარსული ეპიგრაფიკა).

ეპიგრაფიკული ძეგლების აღნუსხვისას XI-XVIII საუკუნეთა წარწერების მონახაზები ადგილზევე სრულდებოდა ექსპედიციის წევრების მიერ. იმ სხვადასხვა მეთოდსა და გადმოსადებ მასალას შორის, რომლებიც დღეისათვის არსებობს წარწერებისა და სახელდობრ გრაფიკების ფიქსაციისას,⁴² საბოლოოდ არჩევენი შეჩერდა სრულიად გამჭვირვალე (კვლეფანსა და არკაზოლზე (გადმოსადები ტექსტის ხასიათის მიხედვით). ამ მასალაზე გრაფიკულად დატანილი, სედმიწევნით ზუსტი, დეტალური ასლი (დაზიანებათა და დაკუნების აღნიშვნით) კვლეაზე უფრო მისადები აღმოჩნდა გარეჯის ნაკაწრი წარწერებისა და ნახატების პირების შესრულებისას - ეს მასალა საშუალებას იძლევა სედმიწევნით იქნას გათვალისწინებული და აღბეჭდილი თითოეული წარწერის გრაფიკული თავისებურებები. ასლები სრულდებოდა ფანქრით ან კალმით, საგანგებო სიფრთხილით, იმისათვის რათა არ დაზიანებულიყო ფერწერული ფენა, ნაღუსობა ან კედლის ზედაპირი. მრავალმთის მონასტრებიდან დაბრუნების შემდგომ, წარწერებისა და ნახატი გრაფიკების გრაფიკული ასლები ქალაღდზე ტუშით ექსპედიციის წევრებსეე გადაქიონდათ. იმაღდროულად, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიაში ხდებოდა გრაფიკული მასალის მიკროფილმირება და ფოტოანაბეჭდების დამზადება. აღნიშნული სამუშაო შეასრულეს *ზურაბ მამისაშვილმა* და *მიხეილ ხაიჩიამ*. რამდენიმე წლის მანძილზე ამგვარად იქნა თავმოყრილი 500-მღე წარწერა და ნახატი-გრაფიტი წმ. დავითის ღავრიდან და უღაბნოს მონასტრიდან.

